ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N6

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 10.04.2019 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - *ალექსანდრე ლილუაშვილი*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი: –ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრ ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: რამაზ არველაძე, ბიჭიკო პაიკიძე, მალხაზ ცერცვაძე, გელა ღვიტიძე, დავით კაკაბაძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილ საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირი.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -**ივანე მამფორია.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14:00 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. /ივანე მამფორია/

2.„ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.''

მომხსენებელი: /ივანე მამფორია/

თანამომხსენებელი:/ტარიელ ბარამიძე/

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ დიხაშხოს მე 6-ქუჩისა და ამავე ქუჩის შესახვევებისა და ჩიხებისათვის 2008 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული დავით დვალიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.“

მომხსენებელი: /გელა ჩიკვაიძე/

4.„ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს N15 ქუჩისა და ამავე ქუჩის შესახვევისა და ორი ჩიხისათვის 2008 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული შალვა ტრაპაიძის სახელის მინიჭების შესახებ.“

მომხსენებელი: /გელა ჩიკვაიძე/

5. სხვადასხვა.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განაპირობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით გამოყოფილმა ტრანსფერმა. კერძოდ, N705, 02.04.2019 განკარგულებიc რგპფ-ით გამოყოფილი თანხა 1484, 9 ათასი ლარით გაიზარდა, რითაც განხორციელდება მთისძირის, ქ.ვანი N2, ძულუხის და მიქელეფონის საბავშვო ბაღებისა და ამაღლება საპრასიის გზის (ჭოკიანიდან)

რეაბილიტაცია. გარდა ამისა სახელწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებში განხორციელდება შემდეგი სახის ცვლილებები.
03 01 კოდი ,,გზების მშენებლობა , რეკონსტრუქცია და მოვლა -შენახვის ასიგნება იზრდება 802, 9 ათასი ლარით.
04 02 კოდი ,,სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია" იზრდება 682,0 ლარით.
საკუთარი სახსრებით გამოყოფილ ასიგნებებში განხორციელდება შემდეგი ცვლილებები:
01 02 კოდი ,, მუნიციპალიტეტის მერია" ასიგნება იზრდება 62,0 ათასი ლარით.
05 01 02 კოდი ,,სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი"-ს ასიგნება იზრდება 7,0 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე – 26

წინააღმდეგი – 2 (კობა ძაგნიძე, გია ოჩხიკიძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N14)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2017 წლის 28 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N38 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7100,0 ათასი ლარის ოდენობით. 2018 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად შემოსულობები დაზუსტდა 13999.4 ათასი ლარის, გადასახდელები 16845,4 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება -2846,0 ათასი ლარის მოცულობით.2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 13899.4 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 14001.5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 100.7-% შეადგენს.გადასახადების 2018 წლის საპროგნოზო მოცულობა 500.0 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებულია 654.7 ათასი ლარი, წლიური გეგმის 130.9%.მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2018 წლის გეგმა 12868.7 ათასი ლარით განისაზღვრა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 12832.5 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმა 99.7%-ით შესრულდა.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 530.7 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 514.3 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 96.9%.მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა შეადგენდა 6543.3 ათას ლარს. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 6350.6 ათასი ლარი, რაც წლიურად

დამტკიცებული შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის 97.1-%-ია.მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილების დამტკიცებული წლიური მაჩვენებელი 10202.1 ათასი ლარით განისაზღვრა. საკასო შესრულება 6880.2 ათასი ლარია, საანგარიშო პერიოდის გეგმიური მაჩვენებლის 67.4%, საიდანაც არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 67.8%-ით შესრულდა, ხოლო არაფინანსური აქტივების კლების - 107.2%-ით.ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით 2018 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა განხორციელდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდის გეგმიური მაჩვენებელი 90,0 ათას ლარს შედგენდა. წლის განმავლობაში ფონდიდან გამოყოფილი თანხების საკასო შესრულებამ 89.7 ათასი ლარი შეადგინა. აქედან საქონელისა და მომსახურების მუხლით 20.9 ათასი ლარი მიიმართა, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 7.0 ათასი ლარი, ხოლო სხვა ხარჯების მუხლით 61.7 ათასი ლარი.ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების 2018 წლის გეგმიური მაჩვენებელი 16845,4 ათასი ლარით განისაზღვრა, საკასო შესრულებამ გეგმის 79,2-% - 13338,0 ათასი ლარი შეადგინა.

თანამომხსენებელმა ტარიელ ბარამიძემ აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში განხილული იქნა კომისიების და ფრაქციების მიერ. რაიმე სახის შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა. თანამომხსენებელმა განაცხადა, რომ მიზანშეწონილად მიიჩნევს 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდეს დადებითად და წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ."

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 26

წინააღმდეგი – 2 (კობა ძაგნიძე, გია ოჩხიკიძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ."

(დანართი: განკარგულება N27 12).

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ დიხაშხოს მე 6-ქუჩისა და ამავე ქუჩის შესახვევებისა და ჩიხებისათვის 2008 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული დავით დვალიშვილის სახელის მინიჭების შესახებ."

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დამთავრდა ყველა პროცედურული საკითხი და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა

დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრებო კომისიის 2019 წლის 18 მარტის N14 სხდომის ოქმის ამონაწერის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა სოფელ დიხაშხოს მე-6 ქუჩას და ამ ქუჩის შესახვევებსა და ჩიხებს მიენიჭოს დავით დვალიშვლის სახელი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 28

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ დიხაშხოს მე 6-ქუჩისა და ამავე ქუჩის შესახვევებისა და ჩიხებისათვის 2008 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული დავით დვალიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.“

(განკარგულება N 27 13)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს N15 ქუჩისა და ამავე ქუჩის შესახვევისა და ორი ჩიხისათვის 2008 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღპული შალვა ტრაპაიძის სახელის მინიჭების შესახებ.“

ამ შემთხვევაშიც, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დამთავრდა ყველა პროცედურული საკითხი და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრებო კომისიის 2019 წლის 18 მარტის N14 სხდომის ოქმის ამონაწერის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა სოფელ სალხინოს N15 ქუჩისათვის, ამავე ქუჩის შესახვევისა და ორ ჩიხს მიენიჭოს შავლა ტრაპაიძის სახელი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 28

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს N15 ქუჩისა და ამავე ქუჩის შესახვევისა და ორი ჩიხისათვის 2008 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული შალვა ტრაპაიძის სახელის მინიჭების შესახებ.“

(განკარგულება N27 14)

საკითხში ,,სხვადასხვა“ სიტყვა ითხოვა დეპუტატმა დავით ხარძეიშვილმა.

დავით ხარძეიშვილი: ,,მივესალმები ამ ორი გმირის სახელის უკვდავსაყოფად სალხინოს და დიხაშხოს ქუჩებზე მათი სახელის მინიჭებას. მაქვს წინადადება, რომ ქალაქ ვანში მოწესრიგდეს ქუჩების დასახელების საკითხი, დავამზადოთ შესაბამისი ტრაფარეტები სახელწოდებით და ნომრებით, რომელიც გაკრული იქნება ქუჩებზე ყველა სახლის წინ.“

დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოთქმულ წინადადებას.

შალვა ლორთქიფანიძე: ,,ძალიან კარგია, რომ ბევრი რამ ვეთდება ჩვენს მუნიციპალიტეტში, მაგრამ არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ხარვეზებიც, რაც გამოწვეულია სხვადასხვა პროექტების შესრულების დროს. მაგალითად, დიხაშხოს კარიერიდან გამოსული დატვირთული ავტომობილები აფუჭებენ საავტომობილო გზას, კარგი იქნება თუ დავსვამთ საკითხს და დავავალებთ აქ მომუშავე კომპანიებს, თავიანთი გაფუჭებული გზის შეკეთებას.
ასევე სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს გზა სოფელ ისრითის სკოლიდან მოსაცდელამდე. აქ არსებული ღია ტიპის ორმოები საშიშროებას უქმნის, როგორც ფეხით მოსიარულეებს ისე ტრანსპორტსაც.“
დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს შალვა ლორთქიფანიძის წინადადებას და დაევალა შესაბამის კომისიას შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და მოახსენოს საკრებულოს მომდევნო სხდომაზე.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე